საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-664

17/05/2021

ქ. თბილისი

სს „საქართველოს მილსადენის კომპანიას საქართველოს ფილიალის“ დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის (ბაქო-სუფსის მაგისტრალური ნავთობსადენის) სექციური ცვლილებების პროექტის ფარგლებში, თბილისისა და მცხეთის მუნიციპალიტეტში 530 მმ დიამეტრის მილსადენის სამშენებლო დოკუმენტის ცვლილებაზე (530 მმ დიამეტრის 700 მეტრი და 400 მეტრი სიგრძის 2 ახალი მონაკვეთის მშენებლობა და ექსპლუატაცია) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

2021 წლის 2 აპრილს სამინისტროს მომართა სს „საქართველოს მილსადენის კომპანიას საქართველოს ფილიალის“ დირექტორმა და ითხოვა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება.

2017 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ სს „საქართველოს მილსადენის კომპანიას საქართველოს ფილიალის“ დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის (ბაქო-სუფსის მაგისტრალური ნავთობსადენის) სექციური ცვლილებების პროექტის ფარგლებში, თბილისისა და მცხეთის მუნიციპალიტეტში 530 მმ დიამეტრის მილსადენის სამშენებლო დოკუმენტის ცვლილებაზე (530 მმ დიამეტრის 700 მეტრი და 400 მეტრი სიგრძის 2 ახალი მონაკვეთის მშენებლობა და ექსპლუატაცია) გაიცა №74 (18.10.2017) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, პირი, რომელზედაც 2018 წლის 1 იანვრამდე გზშ-ის სფეროში გაცემულია შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ვალდებულია 2021 წლის 1 იანვრამდე, განცხადების საფუძველზე მოითხოვოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა. სამინისტრო აღნიშნული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ამ კოდექსით გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის განსაზღვრული პროცედურების გარეშე, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით მომზადდა მინისტრის ბრძანების პროექტი, რომლის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა 2017 წლის №74 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე და საქმიანობის განმახორციელებელს დაეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულება.

ამავდროულად ძალადაკარგულად ცხადდება „სს „საქართველოს მილსადენის კომპანიას საქართველოს ფილიალის“ დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის (ბაქო-

სუფსის მაგისტრალური ნავთობსადენის) სექციური ცვლილებების პროექტის ფარგლებში, თბილისისა და მცხეთის მუნიციპალიტეტში 530 მმ დიამეტრის მილსადენის სამშენებლო დოკუმენტის ცვლილებებზე (530 მმ დიამეტრის 700 მეტრი და 400 მეტრი სიგრძის 2 ახალი მონაკვეთის მშენებლობა და ექსპლუატაცია) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2017 წლის 19 ოქტომბრის №ი-708 ბრძანება, თუმცა აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით იურიდიულ ძალას ინარჩუნებს 2017 წლის №74 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც დანართის სახით თან დაერთვება მოცემულ გადაწყვეტილებას.

ზემოაღნიშნული გარემოებებისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სს „საქართველოს მილსადენის კომპანიას საქართველოს ფილიალის“ დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის (ბაქო-სუფსის მაგისტრალური ნავთობსადენის) სექციური ცვლილებების პროექტის ფარგლებში, თბილისისა და მცხეთის მუნიციპალიტეტში 530 მმ დიამეტრის მილსადენის სამშენებლო დოკუმენტის ცვლილებაზე (530 მმ დიამეტრის 700 მეტრი და 400 მეტრი სიგრძის 2 ახალი მონაკვეთის მშენებლობა და ექსპლუატაცია) გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე (დასკვნა №74; 18.10.2017);
2. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი ვალდებულია დაიცვას თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობები;
3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცეს განუსაზღვრელი ვადით;
4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სს „საქართველოს მილსადენის კომპანიას საქართველოს ფილიალის“ დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის (ბაქო-სუფსის მაგისტრალური ნავთობსადენის) სექციური ცვლილებების პროექტის ფარგლებში, თბილისისა და მცხეთის მუნიციპალიტეტში 530 მმ დიამეტრის მილსადენის სამშენებლო დოკუმენტის ცვლილებებზე (530 მმ დიამეტრის 700 მეტრი და 400 მეტრი სიგრძის 2 ახალი მონაკვეთის მშენებლობა და ექსპლუატაცია) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2017 წლის 19 ოქტომბრის №ი-708 ბრძანება;
5. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
6. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „საქართველოს მილსადენის კომპანიას საქართველოს ფილიალს“;
7. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „საქართველოს მილსადენის კომპანიას საქართველოს ფილიალის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
8. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი